პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 17 იანვარი, 1943 წ. № 14 (6639). ფასი 20 კაპ.

ომიანობის დროის შესაფერისად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის

შეტევითმა აღფრთოვანებამ გააერთიანა ფრონტის მებრძოლნი და ზურგის მებრძოლნი. ხალხისა და არმიის სისხლხორცეული კავშირი არის ჩვენი წარმატებების საფუძველი, ჰიტლერულ დამპყრობლებზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების საწინდარი.

ამ დღეებში საერთოპატრიოტული აღფრთოვანების ნიშნით ცოცხლობს და მუშაობს საკოლმეურნეო სოფელი. კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა სამშობლოსადმი მაღალი სამსახურის ნიმუშები მოგვცეს. უბრალო საბჭოთა ადამიანები ომის დღეებში იჩენენ მოქალაქეობრივი სიმწიფის მაღალ დონეს, თავიანთი როლის სახელმწიფოებრივ გაგებას სამშობლოსათვის სერიოზული განსაცდელის მომენტში. ისინი ისე შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებში, როგორც ამას ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს.

ამხანაგ სტალინისადმი გორკის ოლქის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო აქტივის თათბირის მონაწილეთა წერილში, რომელსაც დღეს „პრავდა“ აქვეყნებს, ლაპარაკია სოფლის მეურნეობაში მიღწეულ წარმატებებზე. წარსულის გამოცდილებით ვიცით, რომ ომი აოხრებდა სოფელს, დეზორგანიზაცია შეჰქონდა სოფლის მეურნეობაში, აჩანაგებდა მიწას. წარსული მსოფლიო ომის ორი წლის განმავლობაში ახლანდელი გორკის ოლქის ტერიტორიაზე სათესი ფართობი 218.000 ჰექტარით შემცირდა. სამამულო ომის განმავლობაში სათესი ფართობი ოლქში 155.831 ჰექტარით გადიდდა.

შესანიშნავი შედეგია! გორკის ოლქის სოფლის მაგალითით შეიძლება დავინახოთ, თუ რა უდიდესი ყოვლისმძლეველი ძალაა საკოლმეურნეო წყობილება, წყობილება, რომელსაც ვერ აშინებს ვერავითარი სიძნელე და დაბრკოლება.

ამხანაგ სტალინისადმი გორკის ოლქის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო აქტივის თათბირის მონაწილეთა წერილში ლაპარაკია საკოლმეურნეო სოფლის დიდ წარმატებებზე. ამ წარმატებათა შემქმნელნი — კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, სოფლის პარტიული და საბჭოთა მუშაკები— აღგზნებული არიან სურვილით ამრავლონ თავიანთი წარმატებანი.

„ჩვენი მუშაობის შედეგების, ფრონტისადმი ჩვენი დახმარების შესახებ რომ მოგახსენებთ, — სწერენ ისინი ბელადს,—ჩვენ აზრადაც არა გვაქვს, რომ ჩვენი შესაძლებლობანი მთლიანად არის მობილიზებული, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ. სრულიადაც არა. ახლა იწყება მხოლოდ მთელი სიმძლავრით გაშლა იმ რეზერვებისა, რომლებსაც შეიცავს სოციალისტური საკოლმეურნეო წყობილება“.

სოფლის ყველა რეზერვთა მობილიზაცია არის ამოცანა კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრებისა 1943 წლის მაღალი სამხედრო მოსავლისათვის. გორკელები მოგვიწოდებენ, რომ შეჯიბრების ახალი აღმავლობით აღვნიშნოთ წითელი არმიის ოცდახუთი წლისთავი. მათ ვალდებულება იკისრეს—ამ საიუბილეო თარიღისათვის მომზადებული ჰყავდეთ ოლქის ყველა კოლმეურნეობა საგაზაფხულო თესვისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ორდენოსანი გორკის ოლქის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო აქტივის ინიციატივა უაღრესად ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს საბჭოთა სოფელში, რომ გორკელების მიერ წამოყენებულ ღონისძიებებს მხედველობაში მიიღებენ მთელი ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები.

მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა იწყება მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. ზამთარში იქმნება ამ ბრძოლაში წარმატების წინაპირობები. მოწინავე კოლმეურნეებს ზამთარი ომამდეც არ მიაჩნდათ დასვენების დროდ. მათთვის ზამთარი შეუპოვარი მუშაობისა და სწავლის დრო იყო ყოველთვის, მით უმეტეს შეუწყნარებელია, გამორიცხულია რაიმე „შესვენება“ ომიანობის დროს. ყოველი დღე, ყოველი საათი სავსებით დატვირთული უნდა იყოს. მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული ყოველი ადამიანის ძალა და უნარი.

ომი თავის ნორმებსა და ტემპებს გვიკარნახებს. მაგალითად, რაც წინათ ერთ თვეში კეთდებოდა, ახლა ერთ კვირაში უნდა გაკეთდეს, რასაც წინათ სამნი აკეთებდნენ, ახლა ერთმა უნდა გააკეთოს. უფრო მკაცრად და უფრო მეტი მომთხოვნელობით უნდა მივუდგეთ თითოეულ მოვლენას, თითოეულ ფაქტს. უყაირათობის, უდისციპლინობის, უთაურობის სულ მცირეოდენ გამოვლინებასაც კი არ უნდა ვურიგდებოდეთ. დავალება, რომელსაც კოლმეურნეობა იღებს სახელმწიფოსაგან, მთლიანად და დაწესებულ ვადებში უნდა შესრულდეს. სამუშაო, რომელსაც კოლმეურნეობა ანდობს ადამიანს, ულაპარაკოდ და გადაუდებლად უნდა შეასრულოს მან. ვალდებულებებმა, რომლებსაც კოლმეურნეობები და კოლმეურნენი კისრულობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რკინისებური სოციალისტური კანონის ძალა უნდა მოიპოვონ მათ თვალში.

ჩვენი სოფელი გაზაფხულისათვის მომზადების დიდსა და რთულ ამოცანას მხოლოდ მაშინ დასძლევს ღირსეულად, მხოლოდ მაშინ გადალახავს ომიანობის დროის გარდუვალ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს, თუ დაცული იქნება მაღალი დისციპლინიანობა და ორგანიზებულობა, თუ დაცული იქნება პირადი პასუხისმგებლობა ადამიანისა თავისი მუშაობისათვის და კოლექტიური პასუხისმგებლობა ცალკეული მუშაკისათვის.

თესლეული, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალი გამწევი ძალა, კადრები—თუ რამდენად არის ყოველივე ეს მომზადებული, ამაზეა დამოკიდებული ომიანობის დროის გაზაფხულის წარმატება. ომიანობის დროს შემცირდა მუშაკთა რაოდენობა, შემცირდა ცხენების რიცხვი, ტრაქტორებისა და ავტომანქანების ნაწილი ფრონტზეა გადაგზავნილი. შინარესურსების მობილიზაცია იმას ნიშნავს, რომ გამოვნახოთ გზები და საშუალებანი, რათა ომიანობის დროს არა თუ არ შევანელოთ სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგი, არამედ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზეც კი ავიყვანოთ. მოწინავე კოლმეურნეობათა, რაიონებისა და ოლქების გამოცდილება მოწმობს, რომ ჩვენ სოფელს სავსებით შეუძლია გადასწყვიტოს ყოველგვარი ამოცანები.

თესლეულისათვის ზრუნვა თითოეული კოლმეურნეობის უპირველესი საქმეა. თესლეული მთლიანად უნდა იქნას შეგროვებული, საიმედო ადგილას შენახული, თავის დროზე გაწმენდილი და აღმოცენების უნარიანობის მხრივ შემოწმებული. ამ საქმეში სანიმუშო წესრიგი უნდა იყოს. კოლმეურნეობებში ახლავე უნდა იყოს სავსებით გამზადებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ახლავე უნდა ვამზადებდეთ ტრაქტორებს თესვისათვის. გასულ წელს მანქანა-ტრაქტორების სადგურებმა მთელ რიგ ადგილებში რომ ვერ შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა, ამაში იჩინა თავი იმ გარემოებამ, რომ მანქანები თავის დროზე არ იყო მომზადებული მინდვრის სამუშაოებისათვის.

1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთათვის მომზადებაში საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თავის დროზე და სრულად უზრუნველჰყონ მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები მექანიზატორთა კარგად მომზადებული კადრებით. საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატება დამოკიდებულია მექანიკური ძალისა და ცოცხალი გამწევი ძალის შეხამებაზე. გაზაფხულისათვის ცხენის მომზადება იმას ნიშნავს, რომ კარგად მოუარო მას ზამთარში. სწორად იქცევა უდმურტეთის ასს რესპუბლიკის ახალგაზრდობა, რომელმაც ვალად იდო ცხენისათვის ზრუნვა.

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც ამ დღეებში შესდგა, მთელი რიგი ღონისძიებანი შეიმუშავა ამ მხრივ. ცხენისათვის ზრუნვა, მისი მოვლა, თათბირს ახალგაზრდა პატრიოტების ღირსების საქმედ მიაჩნია.

თესვისათვის მზადების ყველა ამოცანას — საორგანიზაციოს, სამეურნეოს, აგროტექნიკურს—ადამიანები, კადრები სწყვეტენ. სოფლად მოიპოვებიან სოფლის მეურნეობის ნამდვილი ოსტატები, მცოდნე, გამოცდილი მუშაკები. მათი გამოცდილება ფართოდ უნდა გავრცელდეს, ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული. მაგრამ მშვიდობიანობის დროზე უფრო მეტად უნდა სწარმოებდეს ახალი კადრების სწავლება. რაც კი გაზაფხულისათვის მზადების გეგმაში შედის, ყველაფერი ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს.

ომიანობის პირობებში დრო ომიანობის შესაფერისად უნდა ვიანგარიშოთ. საკოლმეურნეო, პარტიული და საბჭოთა აქტივი სათაუეში უნდა ჩაუდგეს უდიდეს პატრიოტულ აღფრთოვანებას, რომელსაც ჩვენი სოფელი განიცდის. მეტი მანევრულობა, ინიციატივა, გამჭრიახობა, გამბედაობა.

ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ 1943 წლის გაზაფხული შევიდეს სახელოვან გამარჯვებათა მატიანეში, რომელთაც ჩვენი ხალხი აღწევს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომში.

„პრავდის“ მოწინავე, 16/I.

ბრძანება

თავდაცვის სახალხო კომისრისა

1943 წლის 15 იანვარი № 25 ქ. მოსკოვი.

ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღებისა და წითელი არმიის ტანსაცმლის ფორმის ცვლილებათა შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 6 იანვრის ბრძანებულებისა „წითელი არმიის პირადი შემადგენლობისათვის ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღების შესახებ“, —

ვბრძანებ:

1. დაწესდეს სამხრეების ხმარება:

საველე სამხრეებისა — სამხედრო მოსამსახურეთათვის მოქმედ არმიაში და იმ ნაწილთა პირადი შემადგენლობისათვის, რომლებსაც ფრონტზე გასაგზავნად ამზადებენ,

საუოველდღეო სამხრეებისა — წითელი არმიის დანარჩენ ნაწილთა და დაწესებულებათა სამხედრო მოსამსახურეთათვის, აგრეთვე ტანსაცმლის, საპარადო ფორმის ხმარებისას.

2. წითელი არმიის მთელი შემადგენლობა გადავიდეს ახალი განმასხვავებელი ნიშნების — სამხრეების ხმარებაზე 1943 წლის 1-დან 15 თებერვლამდე.

3. წითელი არმიის პირადი შემადგენლობის ტანსაცმლის ფორმაში შეტანილ იქნას ცვლილებანი აღწერილობის თანახმად.

4. ძალაში შევიდეს „წითელი არმიის პირადი შემადგენლობის მიერ ტანსაცმლის ფორმის ხმარების წესები“.

5. ნებადართულ იქნას არსებული ფორმის ტანსაცმლის ხმარება ახალი განმასხვავებელი ნიშნებით ტანსაცმლის მორიგ გაცემამდე, მომარაგების მოქმედი ვადებისა და ნორმების თანახმად.

6. ნაწილთა მეთაურებმა და გარნიზონთა უფროსებმა სასტიკად ადევნონ თვალყური, რომ დაცულ იქნას ტანსაცმლის ფორმა და ახალი განმასხვავებელი ნიშნების სწორი ხმარება.

თავდაცვის სახალხო კომისარი И. სტალინი

უკანასკნელ საათს

I.

ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევა ვორონეჟის ფრონტზე

ამ დღეებში ვორონეჟის სამხრეთით განლაგებული ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. შეტევა სამი მიმართულებით დაიწყო: სელიავნოეს და შჩუჩიეს რაიონებიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კანტემიროვკის რაიონიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ. ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მტრის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა სელიავნოეს რაიონში 45 კილომეტრ მანძილზე, შჩუჩიეს რაიონში—50 კილომეტრ მანძილზე და კანტემიროვკის რაიონში—60 კილომეტრ მანძილზე, სამი დღის დაძაბულ ბრძოლებში სძლიეს მტრის წინააღმდეგობა და წინ წაიწიეს 50-90 კილომეტრით. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 600-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის კვანძი როსოში, რაიონული ცენტრები და რკინიგზის სადგურები — ოლზოვატკა, მიტროფანოვკა, პუხოვო, რაიონული ცენტრები — რეპიეევკა, კრასნოე, როვენკი, მარკოვკა, კამენკა, რკინიგზის სადგურები — მელოგორიე, რიბალჩინო, სოტნიცკოე.

ჩვენი ჯარების შეტევის მსვლელობაში განადგურებულია მოწინააღმდეგის ცხრა ქვეითი დივიზია, აქედან სამი დივიზია—გერმანელებისა და 6 დივიზია — უნგრელებისა..

სამი დღის ბრძოლებში ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 17.000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამავე ხნის განმავლობაში, არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დაცული: 75 ტანკი, 800 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 493 ნაღმსატყორცნი, 1,200 ტყვიამფრქვევი, 14.000 შაშხანა, 500 ავტომანქანა, 130 ტრაქტორი, 672 საზიდარი, 700 ცხენი, 21 რადიოსადგური, 350.000 ყუმბარა, 5.000.000-ზე მეტი ვაზნა, 70 საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად. დავლის დათვლა გრძელდება.

მოსკოვი: 135 ტანკი, 210 ქვემეხი, 17 თვითმფრინავი.

სამი დღის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 15.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა განხორციელებულია ვორონეჟის ფრონტის ძალებით გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ფ. ი. გოლიკოვის სარდლობით და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ძალებით—გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. ნ. ფ. ვატუტინის სარდლობით. ორივე ფრონტის მოქმედების კოორდინაციას ანხორციელებდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი გენერალ-პოლკოვნიკი ა. მ. ვასილევსკი.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-მაიორ ამხ. კ. ს. მოსკალენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ფ. მ. ხარიტონოვის, გენერალ-მაიორ ამხ. პ. მ. ზიკოვის ჯარებმა, გენერალ-მაიორ ამხ. პ. ს. რიბალკოს სატანკო შენაერთებმა და გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ს. ვ. სოკოლოვის საკავალერიო შენაერთებმა.

II.

სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმულ გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია დასასრულს უახლოვდება

როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო „სტალინგრადის მისადგომებზე ჩვენი ჯარების 6 კვირის შეტევის შედეგებში“ იუწყებოდა, 1942 წლის 19 ნოემბერს დაწყებული შეტევის განმავლობაში წითელმა არმიამ მოკლე ხანში წარმატებით განახორციელა უძნელესი ოპერაცია, გარს შემოერტყა მჭიდრო სალტედ მოწინააღმდეგის 22 დივიზიას სტალინგრადის რაიონში. გარშემორტყმულ მტრის ჯარებს შორის არის 3 სატანკო, 3 მოტორიზებული, 15 ქვეითი და ერთი საკავალერიო დივიზია. გარდა ამისა, გარშემორტყმულ იქნა გერმანიის არმიის მთავარი სარდლობის რეზერვის სამი საარტილერიო პოლკი, ოთხი საზენიტო პოლკი, ერთი სანაღმმტყორცნო პოლკი და ოთხი ცალკეული მესანგრეთა ბატალიონი.

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარების შეტევის მომენტისათვის სტალინგრადთან მოქმედ გერმანელთა ჯარებში საარმიო და საკორპუსო ზურგებიანად იყო 200-220 ათასი პირადი შემადგენლობა. 1942 წლის 23 ნოემბრიდან ეს ჯარები სავსებით გარშემორტყმული არიან.

სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჯერ კიდევ სრულ გარშემორტყმამდე წითელმა არმიამ სავსებით გაანადგურა გერმანელთა 44-ე, 376-ე და 384-ე დივიზიები, რომელთა ნაშთებიც ახლა მტრის გარშემორტყმულ ჯარებში არიან. ამ უკანასკნელ კვირეებში ჩვენმა ჯარებმა ჰაერიდან სისტემატური დაბომბვით, მძლავრი საარტილერიო ცეცხლით და სახმელეთო ჯარების იერიშებით გაულიტეს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი რაოდენობა.

გარდა ამისა, რაკი გარშემორტყმულ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს არ ჰქონდათ სურსათის მისატანი გზები, ისინი კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. გარშემორტყმულ გერმანელ ჯარისკაცებს სულ 100-150 გრამი პური ეძლევა დღეში თითოეულს. ჰიტლერელთა მთელ რიგ გარშემორტყმულ ნაწილებს უკვე შეუმუსრავ ცხენების ლეში. ჩაიშალა გერმანელთა სარდლობის ცდები—მიეწოდებინათ თავისი ჯარებისათვის სურსათი სატრანსპორტო ავიაციის საშუალებით. 19 ნოემბრიდან 10 იანვრამდე სტალინგრადთან ჩამოგდებულია 600-ზე მეტი სატრანსპორტო თვითმფრინავი. შიმშილისა და მოქანცულობის გამო ჯარისკაცებში სხვადასხვა ეპიდემიური დაავადება ვრცელდება. საველე ჰოსპიტლები დიდიხანია უკვე ვეღარ იტევენ ყველა დაჭრილსა და ავადმყოფს. ამასთან გერმანელ ჯარისკაცებს სტალინგრადთან არა აქვთ საზამთრო ტანსაცმელი. დაზრობისაგან სიკვდილის შემთხვევათა რიცხვი დღითი დღე მატულობს. ტყვეების ჩვენების თანახმად, ყოველდღიურად მარტო დასუსტებისაგან იხოცება და მინდორში იყინება 400-500 ჯარისკაცი, ხოლო სულ სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელთა ჯარები სულ ცოტა 1.500 ჯარისკაცს ჰკარგავენ ყოველდღიურად.

ყოველივე ამის შედეგად გერმანელ ფაშისტთა ჯარებს სტალინგრადთან მათი გარშემორტყმის განმავლობაში დიდი ზარალი მოუვიდათ ადამიანთა მხრივ. ამჟამად გარშემორტყმულ გერმანელ ფაშისტთა ჯარების პირადი შემადგენლობა 70-80 ათას კაცს არ აღემატება.

საბჭოთა სარდლობამ წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენლის არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ნ. ვორონოვის და დონის ფრონტის ჯარების სარდლის გენერალ-ლეიტენანტ კ. კ. როკოსოვსკის სახით, ამაო სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, 1943 წლის 8 იანვარს შემდეგი ულტიმატუმი წაუყენა სტალინგრადთან გარშემორტყმულ გერმანელთა ჯარების სარდლობასა და მთელს ოფიცერთა და რიგითს შემადგენლობას:

„გერმანიის მეექვსე არმიის სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ პაულიუსს ან მის მოადგილეს და სტალინგრადთან გარშემორტყმულ გერმანიის ჯარების მთელს ოფიცერთა და რიგითს შემადგენლობას.

გერმანიის მე-8 არმია, მე-4 სატანკო არმიის შენაერთები და გასაძლიერებლად მათთვის დამატებული ნაწილები სავსებით გარშემორტყმული არიან 1942 წლის 23 ნოემბრიდან.

წითელი არმიის ნაწილები მჭიდრო სალტედ შემოერტყნენ გერმანიის ჯარების ამ ჯგუფს. სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან გერმანიის ჯარების შეტევის გზით თქვენი ჯარების გადარჩენის არავითარი იმედი არ გამართლდა: გერმანიის ჯარები, რომლებიც თქვენს დასახმარებლად მოეშურებოდნენ, წითელი არმიის ნაწილებმა დაამარცხეს და ამ ჯარების ნაშთები როსტოვისაკენ იხევენ.

გერმანიის სატრანსპორტო ავიაცია, რომელიც სურსათის, საომარი მასალისა და საწვავის საშიმშილო ნორმას გაწვდით, წითელი არმიის წარმატებითი, სწრაფი წინწაწევის გამო იძულებულია ხშირად იცვალოს აეროდრომები და შორიდან იფრინოს გარშემორტყმული ჯარების განლაგებაში. ამასთან გერმანიის სატრანსპორტო ავიაციას რუსთა ავიაცია აყენებს უდიდეს ზარალს თვითმფრინავებისა და ეკიპაჟების მხრივ. გარშემორტყმული ჯარებისათვის მის მიერ დახმარების გაწევა არარეალური ხდება.

გარშემორტყმული თქვენი ჯარების მდგომარეობა მძიმეა. ისინი შიმშილს, ავადმყოფობას და სიცივეს განიცდიან. მკაცრი რუსული ზამთარი მხოლოდ ახლა იწყება. ძლიერი ყინვები, ცივი ქარები და ქარბუქი ჯერ კიდევ წინ არის, თქვენი ჯარისკაცები კი უზრუნველყოფილი არ არიან ზამთრის ტანსაცმლით და მძიმე ანტისანიტარულ პირობებში იმყოფებიან.

თქვენ, როგორც სარდალს, და გარშემორტყმული ჯარების ყველა ოფიცერს მშვენივრად გესმით, რომ არავითარი რეალური შესაძლებლობა არა გაქვთ გაარღვიოთ ალყა. თქვენი მდგომარეობა უიმედოა და შემდგომ წინააღმდეგობას არავითარი აზრი არა აქვს.

იმ გამოუვალ ვითარებაში, რომელიც თქვენ შეგექმნათ, ამაო სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად წინადადებას გაძლევთ მიიღოთ კაპიტულაციის შემდეგი პირობები: 1) გერმანიის მთელმა გარშემორტყმულმა ჯარებმა თქვენი და თქვენი შტაბის მეთაურობით შესწყვიტონ წინააღმდეგობა; 2) თქვენ ორგანიზებულად ჩაგვაბაროთ ჩვენს განკარგულებაში მთელი პირადი შემადგენლობა, საჭურველი, მთელი საბრძოლო ტექნიკა და სამხედრო ქონება წესიერ მდგომარეობაში.

ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს, რომელნიც წინააღმდეგობას შესწყვეტენ, ვაძლევთ გარანტიას სიცოცხლისა და უშიშროების შენარჩუნებისას, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიაში ან სხვა ქვეყანაში დაბრუნებისას, სადაც სამხედრო ტყვეები მოისურვებენ.

დანებებული ჯარების მთელ პირად შემადგენლობას ვუტოვებთ სამხედრო ფორმას, განმასხვავებელ ნიშნებსა და ორდენებს, პირად ნივთებს, ფასეულობებს, ხოლო უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას ცივ იარაღსაც.

ყველა დანებებულ ოფიცერს, უნტერ-ოფიცერსა და ჯარისკაცს დაუყოვნებლივ დაუწესდება ნორმალური კვება.

ყველა დაჭრილს, ავადმყოფსა და დაზრულს გაეწევა სამკურნალო დახმარება.

თქვენს პასუხს ველით 1943 წლის 9 იანვრის 10 საათისა და 00 წუთისათვის მოსკოვის დროით, წერილობით, პირადად თქვენს მიერ დანიშნული წარმომადგენლის საშუალებით, რომელიც თეთრბაირაღიანი მსუბუქი მანქანით უნდა მოვიდეს ასაქცევ კონნი—სადგ. კოტლუბანზე. თქვენს წარმომადგენელს რუსი რწმუნებული მეთაურები შეხვდებიან „ბ“ რაიონში 0,5 კილომეტრზე 564 ასაქცევის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1943 წლის 9 იანვრის 10 საათსა და 00 წუთზე.

გაფრთხილებთ, რომ თუ ჩვენი წინადადება კაპიტულაციის შესახებ უარყოფილი იქნება თქვენს მიერ, წითელი არმიისა და წითელი საჰაერო ფლოტის ჯარები იძულებული იქნებიან შეუდგნენ გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების მოსპობას, ხოლო მათი მოსპობისათვის თქვენ აგებთ პასუხს.

წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი
არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკი ვორონოვი.
დონის ფრონტის ჯარების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი როკოსოვსკი“.

სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების სარდლობამ უარჰყო საბჭოთა სარდლობის ულტიმატუმი.

ამის გამო 10 იანვარს ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების გენერალური იერიში. შვიდი დღის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც თანდათან ავიწროებდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების გარშემორტყმის რკალს, 20-35 კილომეტრით წაიწიეს წინ ცალკეულ მიმართულებებზე და დაიკავეს თავდაცვის მნიშვნელოვანი გამაგრებული კვანძები — მარინოვკა, ატამანსკი, ვოროშილოვის სახელობის ბანაკი, კარპოვკა, შირნოკლეევკა, გოსპიტომნიკი, სინეოკოვსკი, ნოვი როგაჩიკი, სტარი როგაჩიკი, პესჩანი კარიერი, ბერესლავსკი, სკლიაროვი, რაკოტინო, კრავცოვი, ციბენკო, ელხი, ალექსეევკა, პიტომნიკი, დუბინინი, მალაია როსოშკა, ზაპადნოვკა, ბოროდინი, საბჭოთა მეურნეობა № 1, ბაბურკინი, ნოვო-ალექსეევსკი, დმიტრიევკა, პოლტავსკი, ოტოვანოვკა, სოლოვიოვი და რკინიგზის სადგურები—ბასარგინო, კარპოვსკაია, პრუდბოი.

ჩვენი არტილერიითა და ნაღმსატყორცნებით შვიდი დღის შეტევის განმავლობაში დანგრეულია 1.526 გამაგრებული კვანძი და ბლინდაჟი, 75 მკვიდრად მოწყობილი სათვალთვალო პუნქტი, მოსპობილი და ბრძოლაში ჩახშობილია მოწინააღმდეგის 317 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარეა.

მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია 565 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.

შეტევის განმავლობაში 10-დან 16 იანვრამდე ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 6.896 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამავე ხნის განმავლობაში ხელთ იგდეთ შემდეგი დაცული: 371 თვითმფრინავი, 514 ტანკი, 941 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 470 ნაღმსატყორცნი, მათ შორის 50 ექვსლულიანი, 1.950 ტყვიამფრქვევი, 16.308 შაშხანა, 15.551 ავტომანქანა, 1.387 მოტოციკლი, 67 საწვავი და ტრანსპორტერი, 1.408 საზიდარი სამხედრო ქონებიანად, 54 რადიოსადგური, 3 ჯავშნიანი მატარებელი, 10 ორთქლმავალი, 100 ვაგონი, 63 საწყობი საომარ მასალიანად და საჭურვლიანად, აგრეთვე დიდძალი ყუმბარები, ავიაბომბები, ნაღმები, გრანატები, შაშხანის ვაზნები და მრავალი სხვა სამხედრო ქონება.

მოსპობილია: 75 თვითმფრინავი, 174 ტანკი, 416 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 140 ნაღმსატყორცნი, 769 ტყვიამფრქვევი, 414 ავტომანქანა, 9 სხვადასხვა საწყობი.

შვიდი დღის ბრძოლების განმავლობაში მოწინააღმდეგემ 25.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით.

მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა განახორციელეს დონის ფრონტის ძალებმა გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. კ. კ. როკოსოვსკის სარდლობით. საარტილერიო შეტევის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. ნ. ნ. ვორონოვი.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-მაიორ ამხ. ი. მ. ჩისტიაკოვის, გენერალ-მაიორ ამხ. ფ. ი. ტოლბუხინის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. პ. ი. ბატოვის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. მ. ს. შუმილოვის, გენერალ-მაიორ ამხ. ი. ვ. გალანინის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ვ. ი. ჩუიკოვის, გენერალ-მაიორ ამხ. ა. ს. ჟადოვის ჯარებმა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

გორკის ოლქის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო აქტივის თათბირის მონაწილენი მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, თავიანთ საყვარელ მამას, მეგობარსა და მასწავლებელს.

შევედით რა ახალ, 1943 წელში, გვინდა გაგიზიაროთ ჩვენი მუშაობის შედეგები და ჩვენი გეგმები მოძავლისათვის. 1942 წელი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდით აღინიშნა. გორკის ოლქის კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა სამშობლოს ბედ-იღბლისათვის, გაორკეცებული და გასამკეცებული ენერგიით მუშაობდნენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის დროებში. კოლმეურნეობები ომიანობის დროის სიძნელეებს სძლევდნენ და 121.000 ჰექტარით გაადიდეს ნათესი ფართობი. საგაზაფხულო თესვა, 1941 წელთან შედარებით, 18 დღით ადრე იქნა დამთავრებული, ხოლო მოსავლის აღება—30 დღით ადრე. უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. მარცვლეული აღებულია ჰექტარზე საშუალოდ 12 ცენტნერი. ბოჭკო სელი — 4,1 ცენტნერი, კარტოფილი—110 ცენტნერი. ბევრმა კოლმეურნეობამ პურის მოსავალი ჰექტარზე 100 ფუთი აიღო, ხოლო მიწათმოქმედების ცალკეულმა ოსტატებმა—მეტიც. კსტოვის რაიონში მე-17 მსროლელი დივიზიის სახელობის კოლმეურნეობამ 146 ფუთი მარცვლეული აიღო ჰექტარზე; მურომსკის რაიონის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობაში ალექსანდრე დომნინის ბრიგადამ ჰექტარზე 195 ფუთი საგაზაფხულო ხორბალი აიღო; ვეტლუგის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრის“ მერგოლურმა ანა მალაფეევამ ჰექტარზე 64 ფუთი ბოჭკო სელი აიღო. ჩვენს ოლქში ასეთი მაგალითი მრავალია. კოლმეურნეებმა, რომელნიც კოლმეურნეთა პირველ მცნებას იცავდნენ და წითელი არმიის მამაც მებრძოლთათვის ზრუნავდნენ, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის, ბოსტნეულისა და ხორცის ჩაბარების გეგმა. 1942 წელს ჩაბარებულია 4.500.000 ფუთით მეტი პური, ვიდრე 1941 წელს, ბოსტნეული—1.800.000 ფუთით მეტი, კარტოფილი—2.100.000 ფუთით მეტი, ბოჭკო სელი—187.000 ფუთით მეტი.

პროდუქტიული საქონლის სულადობის გადიდების სახელმწიფო გეგმა ოლქმა გადაჭარბებით შეასრულა. წლის განმავლობაში მსხვილფე

სამედიცინო, საველერინარო სამსახურის გენერლებისა და სამხედრო-იურიდიული სამსახურის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობის სამხრეები



სავეტერინარო სამსახურის გენერალ-მაიორი (სამედიც. სამსახ. გენერალ-მაიორი, დივიზიის სამხედრო იურისტი).

სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი (სავეტერინ. სამსახ. გენერალ-ლეიტენანტი, კორპუსის სამხედრო იურისტი).

არმიის სამხედრო იურისტი (სამედიც. და სავეტერინ. სამსახ. გენერალ-პოლკოვნიკი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ავიაციის, არტილერიისა და სატანკო ჯარების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობისათვის დამატებით სამხედრო წოდებათა დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულების დამატებით, დაწესდეს ავიაციის, არტილერიისა და სატანკო ჯარების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობისათვის შემდეგი სამხედრო წოდებანი:

1) ავიაციის მარშალი
2) არტილერიის მარშალი
3) ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 16 იანვარი.

წითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის ქვემოჩამოთვლილ პირებს მიენიჭოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდებანი:

გენერალ-პოლკოვნიკის წოდება

ლეონიდე ალექსანდრეს-ძე **გოვოროვს.**
კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე **როკოსოვსკის.**

გენერალ-მაიორის წოდება

მიხეილ ბორისის-ძე **ანაშკინს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი.

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 15 იანვარი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 იანვრის დილის ცნობა

15 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის ქვემოწელის და ჩრდილოეთ დონეცის რაიონში განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენმა ოლიერშე რაზმებმა წინ წაიწიეს და ხელთ იგდეს მთელი რიგი გამაგრებული შენობები. დახოცილია 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 6 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი ბატარეა და 26 სავეტლე წერტი. წამოღებულია დაცალ და წამოყენილია ტყვეები. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის ასეული კონტრიერიშზე გადმოვიდა, მაგრამ იგი თითქმის მთლიანად გაელატეს ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლით.

* * *

დონის, ქვემოწელის რაიონში ჩვენი ჯარები მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლევდნენ და წარმატებთის შეტევას განაგრძობდნენ. ერთ უბანზე გერმანელებმა მძლავრი თავდაცვითი ზოლი შექმნეს. 6 შენაერთის ნაწილებმა ფლანგებიდან მოუარეს მოწინააღმდეგის სიმაგრეებს, არეკვლიეს შეიტანეს მის თავდაცვაში და დიდი ზარალი მიაყენეს ჰიტლერელებს. ჩვენი ნაწილები დაედევნენ მოწინააღმდეგეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. წამოყენილია ტყვეები და წამოღებულია დაცალ.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე, ველიკიე ლუკის სამხრეთ-დასავლეთით, საარტილერიო მომზადების შემდეგ მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა იერიში მიიტანეს 6 ნაწილის პოზიციებზე. ჩვენმა არტილერისტებმა სასწრაფოდ წამოსწიეს ქვემეხები ღია პოზიციებზე და გერმანელთა 4 ძმიმე ტანკი დაუზიანეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხიშტის დარტყმით უკუაგდეს გერმანელთა ქვეითი ჯარი, რომელსაც დამხმარე ძალა აღარ ჰყოფდა. მოწინააღმდეგემ 180 გვამი დასტოვა ბრძოლის ველზე.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. მებრძოლებმა ამბ. ზომენკოს მეთაურობით გაპფანტეს და 6 ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, დაუბიანეს, გერმანელთა 8 ტანკი, ხელთ იგდეს 29 ავტომანქანა და სხვა დავლა. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დახოცეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს რკინიგზის ეშელონი სურსათიანად, 4 ქვემეხი და 10 ნაღმსატყორცნი. 6 ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს ერთი დასახლებული პუნქტი, წაართვეს გერმანელებს 10 ათასი სული რქიანი საქონელი, რაც ჰიტლერელებს გლეხებისათვის წაერთმიათ.

ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში გაელატა მტრის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპო 3 ჯავშანმანქანა, 7 ავტომანქანა, 2 რადიოსადგური და დასწვა საწვავის დიდი საწყობი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს გერმანელთა ნაწილის დროშა, ბევრი იარაღი და საომარი მასალა.

* * *

მიღებულია ცნობა იმის შესახებ, თუ რა მხეცობას სჩადიან გერმანელი ფაშისტი ავანტურიერები ქალაქ კუსკაში. გერმანელი დამპყრობლები ელეტენ ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას. ჰიტლერელმა ჯალათებმა მარტო დეკემბერში აწამეს და დახვრიტეს 500-ზე მეტი კაცი. იანვრის დამდეგს გესტაპოელებმა მრავალი საბჭოთა ინტელიგენტი დაპატიმრეს. დაპატიმრებულნი აწამეს. ფაშისტმა ბანდიტებმა მეცნიერი თანამშრომელი ტიმოფეევი ისე დაასახიჩრეს, რომ ადამიანი ვეღარ იცნობდა, ხოლო მისი გვამი სანაგვე ორმოში ჩაგდეს. ბანდიტებმა ჩამოახრჩეს მასწავლებელი მიხეილ სოკოლოვი. დახარჩენ დაპატიმრებულთა ბედის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. ქალაქი დღითი-დღე ცარიელდება. ნახევარი წლის განმავლობაში გერმანელებმა ძალით წაიყვანეს გერმანიაში ქატორღაში მრავალი ათასი მცხოვრები. ქალაქში დარჩენილ მოსახლეობას ჰიტლერელები მძიმე სამუშაოზე ერეკებიან. მომუშავეებს პურიც კი არ ეძლევათ. ყოველდღე ათობით ადამიანი შიშლილით იხოცება.

* * *

ფრანგმა თავისუფლამა მსროლელებმა ნანტის რაიონში აფეთქეს გერმანელთა საწყობი საწვავიანად. ლილში შეიარაღებულ ფრანგთა ჯგუფმა დალეწა ტანკშემკეთებელი საბჭოსნოები. მწყობრიდან გამოყვანილია 6 შეკეთებული საშუალო ტანკი. ამიენის ახლოს ფრანგმა პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადაყარეს ვერმანელთა სამხედრო ეშელონი.

ჰიტლერელ გენერალ დიტმარის აღიარება

ჟენევა, 16 იანვარი (საკდესი). ჰიტლერელი რადიომიმომხილველი გენერალ-ლეიტენანტი დიტმარი რადიოში გამოვიდა მიმოხილვით, რომელიც შეიცავს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მდგომარეობის შეფასებას. ეს შეფასება ეწინააღმდეგება დღემდე გამოქვეყნებულ ყველა გერმანულ განცხადებასა და სამხედრო ცნობას, აგრეთვე გებელსის პროპაგანდას.

დიტმარმა განაცხადა, რომ გერმანიის ჯარების ზაფხულის შეტევამ „ძალთა წარმოუდგენელი დაძაბვა მოითხოვა მათგან“ და რომ ამ შეტევამ „გამოიწვია გერმანიის არმიის მატერიალური რესურსებისა და მის ჯარისკაცთა სულიერი ძალების გამოფიტვა“. „დინამიკის კანონების თანახმად, — სთქვა დიტმარმა,—უნდა დამდგარიყო მომენტი, როდესაც ყუმბარის, სრბოლის სისწრაფე სუსტდება. ეს მომენტი შეიძლება მტერმა გამოიყენოს შეტევისათვის. ასეთი კონტრშეტევა, ყველა წესის მიხედვით ჩაატარებული, შეიძლება მეტად ეფექტიანი აღმოჩნდეს“. დიტმარმა აღიარა, რომ „ჩარშან საბჭოთა ჯარებმა „შესძლეს შეერჩიათ ასეთი მომენტი“, რის შედეგადაც გერმანიის არმიას უაღრესად დიდი ლონისძიებები დასჭირდა, რათა თავდაზღვიოდა კატასტროფა. წელს, — აღიარებს დიტმარი, — „მტერმა შესძლო შეერჩია გერმანიის არმიის ძალთა უდიდესი დაცემის მომენტი, რათა დაეწყო თავისი შეტევა. საბჭოთა მხრივ დაიწყო გრანდიოზული მასშტაბის შეტევა იმ ანგარიშით, რომ ხელიდან გამოგეცალონ ჩვენს მიერ დონსა და ვოლგას შუა დაკავებული ტერიტორიები. ნოემბრიდან მოკიდებული, მტერმა შესძლო გაერღვია ჩვენი ხაზები სტალინგრადის ფრონტის უბნებზე. კავკასიაშიც მტერმა განავითარა შეტევა თერგის რაიონში“. რასაკვირველია, ჰიტლერელ გენერალს ეშინია იმისა, რომ ყველა აუცილებელი დაჯენა გააკეთოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შექმნილი ვითარების ანალიზიდან, და იგი უილაჯოდ ცდილობს დაამშვიდოს გერმანელები იმ მხრივ, რომ „თუმცა სტალინგრადის რაიონში გარღვევები საკმაოდ ღრმა იყო, მაგრამ ამ გარღვევებმა ვერ შეარყია გერმანელთა თავდაცვა“.

ჰიტლერელმა მიმომხილველმა ამის მეტი ვეღარაფერი უთხრა ნუგეშად თავის მსმენელებს. პირიქით, შეეხო რა ბრძოლის შემდგომ პერსპექტივებს რეზერვების თანაფარდობის საკითხთან დაკავშირებით, მან პირდაპირ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს „გაცილებთან უფრო მეტი ჰყავს ადამიანთა რეზერვები“. ამგვარად, დიტმარმა არსებითად აღიარა, რომ წითელი არმიის „მოსპობის“ და მისი რეზერვების „სრულიად გაბმოლვების“ შესახებ გერმანელთა პროპაგანდის ყველა წინანდელი განცხადება სიცრუე იყო. კერძოდ, დიტმარმა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა „თვით“ გებელსი, რომელიც რამდენიმე დღით აღრე მანამდე, სანამ წითელი არმია შეტევაზე გადავიდოდა სტალინგრადის მისადგომებზე, დუისბურგში წარმოთქმულ სიტყვაში გერმანელებს არწმუნებდა, წითელი არმიის რეზერვები სრული გამოლევის სტადიას მიუახლოვდნენო“.

ერაყმა ომი გამოუცხადა გერმანიას, იტალიასა და იაპონიას

ლონდონი, 16 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გამოაცხადებს, ერაყის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ერაყი გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ ომის მდგომარეობაშია იმყოფება.

ლონდონი, 16 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ერაყის პრემიერ-მინისტრმა დეპეშით აცნობა ლუზველტს, რომ ერაყმა გადასწყვიტა შეუერთდეს გაერთიანებული ერების დეკლარაციას, რომელიც ხელმოწერილ იქნა ვაშინგტონში 1942 წლის 1 იანვარს.

საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კონფერენციებზე

ბყიბულის რაიონული პარტიული კონფერენცია

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორ.). 14 იანვარს ჩატარდა ტყიბულის მე-18 რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი: რაიკომის ანგარიში ჩატარებულ მუშაობაზე, სარევიზიო კომისიის მოხსენება და რაიკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

რაიკომის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ვ. გოგუა. მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ჩატარებულ მუშაობაზე. იგი განსაკუთრებით შეჩერდა ტყიბულქვანახშირის ტრესტის მუშაობაზე, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, განსაკუთრებით კარგად მუშაობს სტალინის სახელობის მაღარო. ამხ. გოგუა შეჩერდა აგრეთვე ზოგიერთ მაღაროში ქვანახშირის ამოღების გადიდების ხელისშემშლელ მიზეზებზე, გააკრიტიკა ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების მოუქნელი მუშაობა.

სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გოქსაძემ.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. გორგიძემ, კ. ბუჯიაშვილმა, რ. არაბიძემ, ე. ბუბაშვილმა, პ. ჩიტიანმა, ი. გაბრიაძემ, ა. კასრაშვილმა და სხვებმა, სულ 14 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სწორად და ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ რაიკომის პლენუმის წევრად აირჩია 33 კაცი, ხოლო კანდიდატად—11.

შესდგა პლენუმი. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ვ. გოგუა, მეორე მდივნად — ი. გორგიძე, ხოლო მდივნად კადრების დარგში — ბ. ჭელიშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტრანსპორტის დარგში ამხ. მ. ჩუბინიძე.

დ. საბელაშვილი

ონის რაიონული პარტიული კონფერენცია

ონი („კომუნისტის“ კორ.). 13 იანვარს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ონის მეცხრე რაიონული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. ბ. გორგიაშვილმა. სარევიზიო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პ. მაისურაძემ.

მოხსენებათა გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო 18 კაცმა. კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სწორად და პრინციპული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში აირჩია 31 წევრი და 9 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში—5 კაცი.

14 იანვარს შესდგა რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის ბიურო აირჩია 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ბ. გორგიაშვილი, მეორე მდივნად—ვ. ხარჭამაძე, მდივნად კადრების დარგში—ალ. ჭელიძე.

მ. სურგულაძე

ბაშკიჩეთ ს რაიონული პარტიული კონფერენცია

ბაშკიჩეთი, 16 იანვარი (ტელეფონით). ამ დღეებში ჩატარდა ბაშკიჩეთის მეორე რაიონული პარტიული კონფერენცია. რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. კ. მურჯიკელი. მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელიც ჩაატარეს რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა სამამულო ომის დღეებში, იგი შეეხო აგრეთვე იმ ნაკლოვანებებს, რასაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა. მათ აღნიშნეს რაიონის მტს-ის სუსტი მუშაობა, მიუთითეს საagიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და სხვ.

კონფერენციის მიერ მიღებულ დადგენილებაში დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

კონფერენციამ აირჩია რაიკომის პლენუმი 29 წევრისა და 7 კანდიდატის შემადგენლობით.

პლენუმმა პირველ მდივნად აირჩია ამხ. კ. მურჯიკელი, მეორე მდივნად—ამხ. რ. მაღდოვი და მესამე მდივნად — ამხ. შ. სამოილოვი.

ავაგოთ საბჭოთა კოლონა „ქართველი კოლმეურნე“

3.804.000 მანეთი

ბორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ბორის რაიონის კოლმეურნეებს კვლავ დიდი ენტუზიაზმით შეაქვთ სახსრები სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად. სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში უკვე შეტანილია 3.804.000 მანეთი.

სოფ. ზემო ნიქოზის კოლმეურნეობა „გლეხთა იმედის“ წევრებმა სატანკო კოლონის მშენებლობისათვის გაიღეს 96.000 მანეთი. აქედან კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მჭედლიძემ პირადად შეიტანა 40.000 მანეთი, კოლმეურნეობის მოანგარიშემ ი. ლომსაძემ — 10.000 მანეთი, ხოლო საწყობის გამგემ ი. მჭედლიძემ — 8.000 მანეთი. გარდა ამისა, სოფ. ზემო ნიქოზის კოლმეურნეობა „გლეხთა იმედის“ წევრებმა წითელი არმიისა და ქალაქის მშრომელთათვის გაიღეს 200 კილოგრამი ხორცი, 6 ტონა ბოსტნეული, 2 ტონა ხორბალი, 700 კილოგრამი სიმინდი, 1.100 კილოგრამი ვაშლი, 100 კილოგრამი ყველი, 200 კილოგრამი ლობიო.

ტყვიავის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეებმა სატანკო კოლონის ასაგებად შეიტანეს 48.000 მანეთი. გარდა ამისა, აქ ზემო ტყვიავის კოლმეურნეობის წევრებმა წითელი არმიისა და ქალაქის მშრომელთათვის გაიღეს 170 კილოგრამი ხორცი, 750 კილოგრამი კომბოსტო, 128 კილოგრამი ხახვი და სხვ.

ბორის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა შეიტანა 12.000 მანეთი ფულად და 4.000 მანეთის ობლიგაციები.

სახსრებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეგროვება წარმატებით გრძელდება.

პიონერთა დანაზოგი

გურჯაანი („კომუნისტის“ საკ. კორ.). გურჯაანის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურა პიონერ თამარ ფროლოვას პატრიოტულ ინიციატივას და ორ-სამ დღეში სატანკო კოლონა „ნორჩი პიონერის“ მშენებლობის ფონდში შეიტანა 300.000 მანეთი. სოფ. არაშენდის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ორ დღეში 16.720 მანეთი შეიტანეს. მეშვიდე კლასის მოსწავლე თინა აიკაზასულმა ბირაპეტოგმა 3.000 მანეთი შეიტანა, ხოლო ორორი ათასი მანეთი შეიტანეს მოსწავლეებმა შოთა ასლამაზოვმა და მანია გილიგაშვილმა. სახსრებს წარმატებით აგროვებენ სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლაში. აქ ერთ დღეში 16.500 მანეთი შეაგროვეს. მეცხრე კლასის მოსწავლე ეკატერინე ქაჩლიშვილმა სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში შეიტანა 1.500 მანეთი.

სახსრების შეგროვება გრძელდება.

შ. მაჭავარიანი

ყაზბეგელ კოლმეურნეთა შორის

ყაზბეგი (ტელეფონით). ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეებმა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ მშენებლობისათვის შეაგროვეს 700.000 მანეთი.

სოფ. განისის ვორონიშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გაიღეს 80.000 მანეთი, სოფ. აბანოს კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ წევრებმა — 100.000 მანეთი.

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეები თავიანთი პირადი გარდამეტიდან აგროვებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს წითელი არმიისა და ქალაქის მშრომელებისათვის. დიდი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** მისასალმებელი დეპეშის პასუხად კოლმეურნეებმა უკვე გაიღეს 4.000 კილოგრამი ხორცი და 10.000 კილოგრამი კარტოფილი, ყველი, ერბო და სხვ.

სახსრებისა და პროდუქტების შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს.

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომპლექსური - კომკავშირული ფრონტული ბრიგადის ბრიგადირი ორდენოსანი ძალვა ხიზანაშვილი მუშაობის დროს.

ფრონტის ჯანსაღმელი წითელი არმიისათვის გეგმის გადამეჯეგით

თბილისის მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება საწარმოო გამარჯვებები აღნიშნოს გმირი წითელი არმიის XXV წლისთავი. ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ვადაზე აღრე — 23 თებერვლისათვის შეასრულოს ივნარისა და თებერვლის გეგმა და ამასთანავე მიაღწიოს პროდუქციის ხარისხის უფრო მაღალ მაჩვენებლებს, შეამციროს თვითღირებულება და გაადიდოს შრომის ნაყოფიერება. გარდა ამისა, კოლექტივმა გადასწყვიტა გეგმის გადამეტებით 23 თებერვლისათვის გამოუშვას ფორმის ტანსაცმლის კომპლექტი წითელი არმიის ერთი ბატალიონისათვის. ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა აგრეთვე იანვრისა და თებერვლის განმავლობაში დაზოგოს სულ მცირე 10 ტონა მატყლი.

საამქროებში, ცვლებში, ბრიგადებში, ცალკეულ მუშათა შორის ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. (საქდესი).

ვიბრძვით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის

ჩვენს ქარხანაში, სადაც დირექტორად ამხ. ნ. აბრამოვია, ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის კოლექტივის მოწოდებამ. წითელი არმიის XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრის მიზნით საამქროებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი და კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს.

კერძოდ, ჩემი საამქროს კოლექტივი, რომელიც სპეციალკვეთებზე მუშაობს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მექანიკური საამქროს კოლექტივმა. ჩემი საამქროს კოლექტივმა მიიღო ეს გამოწვევა და თავის მხრივ იკისრა ივნვრისა და თებერვლის გეგმა შეასრულოს 101 პროცენტით, გაზარდოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და ცალკე ოპერაციების მიხედვით დაიყვანოს წუნი 0,5 პროცენტამდე. მიაღწიოს იმას, რომ ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებდეს გეგმას, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 5 პროცენტით. მომიჯნავე საამქროები უზრუნველჰყოს დეტალებით ზუსტი გრაფიკის მიხედვით.

ჩვენ გაძლიერებული ენერგიით შევუდექით მოლოტოველთა მოწოდების ასასრულებლად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას ივნვრის ნახევარი ოვის დავალება 108 პროცენტით შევასრულეთ. თავიანთ უბნებზე თავდადებულად მუშაობენ შემფუღებელი ჩიხლაძე, რიშკოვა, გალოვკინა და რევიაკი, რომელნიც ყოველდღიურ გეგმას 400-ზე მეტი პროცენტით ასრულებენ. შემფუღებელი ქალი ჩესნიაკოვა მეორე თვეა, წარმოებაში მუშაობს და დავალებას 400-500 პროცენტით ანაღდებს.

აღსანიშნავია ოსტატ კორნილევის (საამქროს პარტორგია) და ბრიგადირ ხაჯიევის ენერგიული მუშაობა. მათი ცვლა, რომელიც ოსტატ ვოიტოვის და ბრიგადირ სიდოროვის მოწინავე ცვლას ეჯიბრება, გეგმას 450-500 პროცენტით ასრულებს.

საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები აქვს ორდენოსან ზეინკალ გ. ყველაშვილს. იგი მოლოტოველთა მოწოდების პასუხად ყოველდღიურად 4-5 ნორმას იძლევა.

დაუღალავად მუშაობს და თავის ცოდნას ახვევებსაც უზიარებს საამქროს უფროსი ოსტატი მედალოსანი კ. კლანი.

საამქროს მთელი კოლექტივი მეომრული თავდადებით იბრძვის, რათა პირველობა მოიპოვოს სოცშეჯიბრებაში. საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს გმირი წითელი არმიის საბჭოთა XXV წლისთავს.

გ. დგებუაძე
სპეცსაამქროს უფროსი

„გენერალ სტიუარტის“ ტიპის ძუძუტა ამერიკული ტანკებით დატვირთული მატარებელი ერთ-ერთ ასაკეკეზე ეგვიპტეში. ეს ტანკები მონაწილეობდნენ საომარ ოპერაციებში რომმელის არმიის წინააღმდეგ.

ტრაქტორების რემონტი

თელავის მგს-ის მუშაკთა მოწოდების პასუხად

გორის რაიონის ახალსოფლის მტს-ის მუშამოსამსახურეთა საერთო კრებაზე განხილულ იქნა თელავის მტს-ის მუშაკთა წერილი საქართველოს მტს-ების მუშაკებისადმი ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებმა გ. მარდიშვილმა და თოდაძემ ვალდებულება აიღეს, რომ ტრაქტორების და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტის გეგმებს შეასრულებენ დაწესებულ ვადებზე 20 დღით აღრე და მაღალი ხარისხით, ამასთან დაეხმარებიან სხვა ბრიგადებს.

ბრიგადირებმა ა. თვაურმა, ე. გოგიტაშვილმა და დ. ბატონისაშვილმა იკისრეს რემონტის გეგმის ვადაზე 15 დღით აღრე და მაღალი ხარისხით შესრულება, აგრეთვე რემონტის საქმეში ჩამორჩენილი ბრიგადებისადმი დახმარება, მთლიანად კი ახალსოფლის მტს-ის კოლექტივმა აიღო ვალდებულება, რომ ტრაქტორების და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტის გეგმას შეასრულებს დაწესებულ ვადაზე 20 დღით აღრე და მაღალი ხარისხით აღადგენს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.000 მანეთისა, 25.000 მანეთის სათადარიგო ნაწილებს და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია შინდისის მტს-ი.

გ. ცაბაძე
ახალსოფლის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე.

გეგმა ვადაზე აღრე შესრულდა

ქარელის მტს-ის კოლექტივი დროულად გამოეხმაურა თელავის მტს-ის მუშაკთა მოწოდებას ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმების შესრულების შესახებ. სარემონტო ბრიგადებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ტრაქტორების შეკეთების მეოთხე კვარტალის გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

რემონტის საქმეში კარგი მაჩვენებლები მოგვეცეს № 3 და № 4 სარემონტო ბრიგადების ბრიგადირებმა იოსეფოლმა და ხორგუაშვილმა, აგრეთვე ტრაქტორისტებმა ელიავშვილმა, სინინაბაზნოვმა, ნაზარეოვმა, სულაშვილმა, ნონეშვილმა და სხვ.

ქარელის მტს-ის დირექტორი
ი. კალანდაძე.
პოლიტგანყოფილების უფროსი ნ. კიკნაძე

დამნაშავეთა საქმის გამოძიებას აჭიანურებენ

ბორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). მას შემდეგ, რაც ბორის რაიკოოპკავშირის ი. მაზმიშვილი მოვლენის, რაიკავშირის მუშაობა ჩაორჩებოდა. მაზმიშვილის უდარდელი მუშაობის შედეგად რაიკავშირი სამარცხვინოდ ჩამორჩა საცალო ვაჭრობის, თვითმესყიდვისა და დამზადებათა გეგმების შესრულების საქმეში.

გამფლანგველებთან ბრძოლის საქმეს „ყურადღება არ ექცეოდა (გაფლანგული თანხის რაოდენობამ 202.000 მანეთს მიაღწია), ხელმძღვანელთა უდარდელობის შედეგად რაიკავშირს 80.000 მანეთის ღვინო გაუფუჭდა.

გარდა ამისა, რაიკავშირის ხელმძღვანელებმა დანაშაულებრივი გულგრილობა გამოიჩინეს მოსახლეობისათვის პროდუქტებს გაცემის საქმეში.

ყოველივე ამისთვის ი. მაზმიშვილი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან და მისი საქმე რაიონის პროკურატურას გადაეცა.

მაგრამ რამდენიმე თვის განავლობაში მთელი მასალები უმძიმოდ იდო ბორის რაიპროკურატურაში. იქ მხოლოდ მაშინ გაახსენდათ ეს საქმე, როდესაც საქ. კ. პ. (ბ) ბორის რაიკომმა მოაგონა პროკურატურას რაიკავშირის ყოფილ ხელმძღვანელთა დანაშაულებრივი საქმის გამორკვევის დაჩქარების აუცილებლობა. დანიშნეს ექსპერტები, დაიწყო საქმის გამოძიება, მაგრამ მეტად ნელი ტემპით. ბორის რაიპროკურატურა დანაშაულებრივად აჭიანურებს ბოროტმოქმედთა საქმის გამოძიებას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას.

როდემდის უნდა გააჭიანუროს ბორის რაიპროკურატურამ დამნაშავეთა საქმის გამოძიება?

შ. ჩუბინიძე

საშემახველო საქმის მუშაკთა საქალაქო შეკრება

საბჭოთა შემახველი სალაროების 20 წლისთავის გამო

15 იანვარს თბილისში შესდგა შემახველ სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტისა და საშემახველო საქმის ხელშემწყობი კომისიების წარმომადგენელთა, აგრეთვე საფინანსო ორგანოების აქტივის საქალაქო შეკრება, მიძღვნილი საბჭოთა შრომის შემახველი სალაროების ოცი წლისთავისადმი.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბ. ჩხეიძემ. მოხსენებით — საბჭოთა შემახველი სალაროების ოცი წლისთავი და 1942 წლის მუშაობის შედეგები — გამოვიდა საქართველოს შემახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი ამხ. ა. პეტროსიანი.

მომხსენებელმა მოიყვანა საინტერესო ცნობები საქართველოში შემახველი სალაროების მუშაობისა და სახელმწიფო სესხების გავრცელებაში არსებული მიღწევების შესახებ. იგი ვრცლად შეჩერდა აგრეთვე საშემახველო საქმის მუშაკთა წინაშე 1943 წლისათვის მდგომი ამოცანების განმარტებაზე.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მოლოტოვის რაიონის ცენტრალური შემახველი სალაროს გამგე ამხ. ე. ბეგიაშვილი, თბილისაზკვების ტრესტთან არსებული დამხმარე კომისიის თავმჯდომარე ამხ. ს. არაზოვი, 26 კომისრის რაიონის ცენტრალური შემახველი სალაროს კონტროლიორი ამხ. ა. ზურაბოვა, პირველი საბკერვალო ფაბრიკასთან არსებული დამხმარე კომისიის თავმჯდომარე ამხ. მ. გვინჩიძე, ბერიას რაიონის ცენტრალური შემახველი სალაროს გამგე ამხ. ნ. კანდელაკი და სხვ.

შეკრებამ მიიღო მიმართვა საქართველოს შემახველი სალაროების მუშაკებისადმი 1943 წელს მუშაობის გაუმჯობესების შეს